დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ა(ა)იპ კოლეჯ განთიადის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ლანა გაჩეჩილაძე
წევრები:
ირმა ღარიბაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი
I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ა(ა)იპ კოლეჯ განთიადი
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
საიდენტიფიკაციო კოდი: 217890192

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

■ **საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 3 სექტემბრის N1146088 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება ა(ა)იპ კოლეჯ განთიადში და საგანმანათლებლო პროგრამების - ,,შედუღება'' და ,,იატაკისა და ფილის სამუშაოები'' ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ)ქვეპუნქტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმება.

კოლეჯმა აღნიშნული პროგრამები ახალი რედაქციით 2026 წლის 27 თებერვალს დაიმატა და ჩარიცხა პირველი ნაკადი საგაზაფხულო მიღების დროს (სასწავლო პროცესი დაიწყო 14 სექტემბერს), თუმცა აღსანიშნავია, რომ კოლეჯი 2019 წლიდან ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „იატაკისა და ფილის სამუშაოები", ხოლო „შედუღების" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას - 2021 წლიდან და ყოველწლიურად ჰქონდა მიღება. პროგრამები სრულად ხორციელდება პირისპირ რეჟიმში, ფიზიკურ გარემოში.

კოლეჯში წინა ვიზიტი პროგრამების დამატების მიზნით მიმდინარე წლის იანვარში განხორციელდა, ორივე პროგრამის ფარგლებში 2.2.1.1. ინდიკატორთან მიმართებით დაფიქსირდა ხარვეზი და შესაბამისობის რეკომენდაცია. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 27 თებერვლის N238166 ოქმისა და შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე კოლეჯმა დადგენილ ვადაში წარმოადგინა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების ამსახველი დოკუმენტაცია.
ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი დოკუმენტაცია. განხორციელდა ჯგუფის წევრებს შორის საკითხების განხილვა/შეჯერება, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 16 სექტემბერს ა(ა)იპ კოლეჯ განთიადში (ქ. გორი, ბესიკის ქ. N2 და გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხიდისთავი).
ექსპერტებმა შეისწავლეს პროგრამების განმახორციელებელ პირთა პირადი საქმეები, რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები, ჩატარდა გასაუბრება კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონალთან, შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებთან და პროფესიულ მასწავლებლებთან. ექსპერტებმა დაათვალიერეს პროგრამების განხორციელების ადგილები, შესაბამისი სასწავლო და მატერიალური რესურსი. დოკუმენტაციის ანალიზისა და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების საკითხები, კერძოდ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

№	წინა ვიზიტის ფარგლებში არსებული ხარვეზის / გაცემული რეკომენდაციის აღწერა	ინფორმაცია შესრულების შესახებ
1	**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,შედუღება"** ინდიკატორი 2.2.1.1. - ვიზიტის პერიოდში დადგინდა, რომ კოლეჯს არ ჰქონდა შეძენილი „ულტრაბგერითი შედუღების აპარატი", რომელიც პროგრამით არის მოთხოვნილი. შესაბამისად დაწესებულებამ წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (ბრძანება N1-07, 23/01/2026), სადაც განსაზღვრულია, რომ დაწესებულება შეიძენს „ულტრაბგერითი შედუღების აპარატს". შესყიდვის პროცესის ვადად განისაზღვრა 6 თვე. პროცესის დასრულების ვადად დადგინდა 2026 წლის 24 ივლისი. დაფინანსების წყაროდ განისაზღვრა ვაუჩერული დაფინანსება. დაწესებულებას აღნიშნული სტანდარტი შეფასებული აქვს - „შესაბამისად". ექსპერტთა მხრიდან სტანდარტი შეფასდა - „მეტწილ შესაბამისად". საკითხთან დაკავშირებით ექსპერტთა მხრიდან გაიწერა რეკომენდაცია:- კოლეჯმა უზრუნველყოს „ულტრაბგერითი შედუღების აპარატის" შესყიდვა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.	<u>**განმეორებითი მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა,**</u> რომ შესაბამისობის გეგმის (ბრძანება N1-07, 23/01/2026), მიხედვით, კოლეჯმა გააფორმა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №8 (06.02.2026) შპს ,,სითიტექ"-თან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ,,შედუღება" 1 ცალი ულტრაბგერითი შედუღების აპარატი LST C800-ის შესყიდვის მიზნით, 6450 ლარის ღირებულებით და მიწოდების ვადად განისაზღვრა 60 კალენდარული დღე. ხელშეკრულების შესაბამისად, 2026 წლის 2 მარტს მოხდა მიწოდება და გაფორმდა კოლეჯსა და მიმწოდებელ ორგანიზაციას შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი. მონიტორინგის ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს პროგრამის განხორციელების ადგილები და დადასტურდა, რომ კოლეჯს აქვს ულტრაბგერითი შედუღების აპარატი LST C800. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
2	**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,, იატაკისა და ფილის სამუშაოები"** ინდიკატორი 2.2.1.1. - ვიზიტის პერიოდში დადგინდა, რომ კოლეჯს არ ჰქონდა შეძენილი „ქვიშა-ცემენტის მოჭიმული იატაკისა და ბეტონის სიმტკიცის საზომი ხელსაწყო", რომელიც პროგრამით არის მოთხოვნილი. შესაბამისად დაწესებულებამ წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (ბრძანება N1-07, 23/01/2026), სადაც განსაზღვრულია, რომ დაწესებულება შეიძენს „ქვიშა-ცემენტის მოჭიმული იატაკისა და	**განმეორებითი მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა,** რომ შესაბამისობის გეგმის (ბრძანება N1-07, 23/01/2026), მიხედვით, კოლეჯმა გააფორმა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №5 (30/01.2026) შპს ,,სითიტექ"-თან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ,,იატაკისა და ფილის სამუშაოები" 2 ცალი ბეტონის მარკიანობის საზომის (შმიდტის ჩაქუჩი)-ს შესყიდვის მიზნით, ჯამში 1100 ლარის საერთო ღირებულებით და მიწოდების ვადად განისაზღვრა 21 კალენდარული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	ბეტონის სიმტკიცის საზომი ხელსაწყოს“ . შესყიდვის პროცესის ვადად განისაზღვრა 6 თვე. პროცესის დასრულების ვადად დადგინდა 2026 წლის 24 ივლისი. დაფინანსების წყაროდ განისაზღვრა ვაუჩერული დაფინანსება. დაწესებულებას აღნიშნული სტანდარტი შეფასებული აქვს - „შესაბამისად“. ექსპერტთა მხრიდან სტანდარტი შეფასდა - „მეტწილად შესაბამისად“. საკითხთან დაკავშირებით ექსპერტთა მხრიდან გაიწერა რეკომენდაცია: მიზანშეწონილია დაწესებულებამ დაიცვას „ქვიშა-ცემენტის მოჭიმული იატაკისა და ბეტონის სიმტკიცის საზომი ხელსაწყო“ შესყიდვის ვადები.	დღე. ხელშეკრულების შესაბამისად, 2026 წლის 3 თებერვალს მოხდა მიწოდება და გაფორმდა კოლეჯსა და მიმწოდებელ ორგანიზაციას შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი. მონიტორინგის ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს პროგრამის განხორციელების ადგილები და დადასტურდა, რომ კოლეჯს აქვს 2 ბეტონის მარკიანობის საზომი (შმიდტის ჩაქუჩი). **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ვიზიტის ფარგლებში, პროგრამების განმახორციელებელ პირთა პირადი საქმეების შესწავლისას გამოვლინდა, რომ ხარისხის მართვის მენეჯერს შეთავსებული აქვს პროფესიული განათლების მასწავლებლის პოზიცია. კერძოდ, პროგრამების ფარგლებში მასწავლებლად ფიქსირდება ,,შედუღების'' პროგრამაზე ერთ მოდულზე (ტექნიკური ნახაზების შესრულება), ხოლო ,,იატაკისა და ფილის სამუშაოების'' პროგრამაზე - 5 მოდულზე (რაოდენობრივი წიგნიერება; მშენებლობის საფუძვლები; სამშენებლო ნახაზების კითხვა; თბო და ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოების შესრულება; შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა (ს/შ1,2,3)). ,,შედუღების'' და ,,იატაკისა და ფილის სამუშაოების'' პროფრამების აღნიშნულ მოდულებზე, პროგრამების მოქმედ ჯგუფებთან ვიზიტის დროს სასწავლო პროცესში ხარისხის მართვის მენეჯერი მასწავლებლად არ იყო ჩართული, თუმცა მასთან გაფორმებული 2026 წლის 14 სექტემბრის № 107 შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად სასწავლო პროცესში პროფესიულ მასწავლებლად ჩართულია ,,ელექტროობის'', ,,სამშენებლო სამღებრო სამუშაოების'' და ,,ხის მხატვრული დამუშავების'' პროგრამების სხვადასხვა მოდულებზე ჯამში 4 ჯგუფთან (ჯამში 501 სთ).

ხარისხის მართვის მენეჯერთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მას კოლეჯში პროფესიულ განათლების მასწავლებლობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს (2019 წლიდან). კოლეჯს ხარისხის მიმართულებით მხოლოდ ხარისხის მართვის მენეჯერი ჰყავს. ექსპერტებმა გამოითხოვეს ,,შედუღების'' და ,,იატაკისა და ფილის სამუშაოების'' ვერიფიკაციის დოკუმენტები. დოკუმენტების შესწავლითა და ხარისხის მენეჯერთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კოლეჯის პრაქტიკაში არ ჩატარებულა იმ მოდულების ფარგლებში ვერიფიკაცია, რომელ მოდულების განხორციელებაშიც ჩართულია ხარისხის მართვის მენეჯერი, როგორც პროფესიული განათლების მასწავლებელი. შესაბამისად, დოკუმენტაციის შესწავლითა და ხარისხის მართვის მენეჯერთან გასაუბრებით ვლინდება ხარისხის მართვის მენეჯერის ინტერესთა კონფლიქტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ასევე, კოლეჯი არ არეგულირებს ადმინისტრაციული პერსონალისთვის მასწავლებლობის შეთავსების საათობრივ მაქსიმალურ დატვირთვას. გასაუბრებით დადგინდა, რომ არსებული პრაქტიკით ადმინისტრაციისთვის სასწავლო მიზნებისთვის დატვირთვა არ აღემატება კვირეულად 15 სთ-ს. კოლეჯში სამუშაო საათები განსაზღვრულია 10 სთ-დან 18 სთ-მდე, შესვენება 13 სთ-დან 14 სთ-მდე. ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის მასწავლებლის ფუნქციების შეთავსება საათობრივი დატვირთვის კონტროლის მექანიზმის გარეშე, აჩენს ძირითადი პოზიციის ფუნქციების არაეფექტურად შესრულების რისკს, რაც შესაძლოა გრძელვადიან პერიოდში უარყოფითად აისახოს კოლეჯის საქმიანობაზე.

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით მონიტორინგის დროს ან წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
შედუღება	36	12	0	6
იატაკისა და ფილის სამუშაოები	72	25	0	9

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
შედუღება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
იატაკისა და ფილის სამუშაოები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაცია არ დაფიქსირებულა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1.3 - **განმავითარებელი რეკომენდაცია:** პროფესიულ მასწავლებელთა პირად საქმეში კვალიფიკაციის დამადასტურებელ სხვა დოკუმენტებთან ერთად, დაცულია პირისთვის კოლეჯის მიერ გაცემული ცნობები, რომლითაც დასტურდება პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო გამოცდილება, თუმცა რიგ შემთხვევებში მითითებულია მხოლოდ პროგრამის დასახელება და არ არის მითითებული მოდულ(ებ)ის დასახელება. რეკომენდირებულია, კოლეჯის მიერ მასწავლებლებისთვის გაიცეს ცნობა პროგრამის ფარგლებში განხორციელებული კონკრეტული მოდულების დასახელების მითითებით.

2.2.1.4 - **განმავითარებელი რეკომენდაცია:** პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციის ჯეროვნად შესრულების მიზნით, სასურველია კოლეჯს ჰქონდეს პროგრამის ხელმძღვანელის პოზიცია და შესრულებული ადმინისტრაციული საქმიანობა იყოს ანაზღაურებადი.

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

კოლეჯმა 2026 წლის 8 ოქტომბრის MES 1 26 0001416529 წერილით წარმოადგინა დასკვნის პროექტზე არგუმენტირებული პოზიცია:

1. ,,კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს აქვს პროფესიული განათლების მასწავლებლად მუშაობის გამოცდილება (2009 წლიდან). გასაუბრებისას აღინიშნა, რომ ამჟამად ჩართულია პროფესიულ მასწავლებლად ,,ელექტროობის'', ,,სამშენებლო სამღებრო სამუშაოების'' და ,,ხის მხატვრული დამუშავების'' პროგრამების სამ მოდულზე, მისი კვირეული დატვირთვა გახლავთ 10 საათი.
რაც შეეხება ვერიფიკაციას, ხარისხის მართვის მენეჯერს მის მიერ ჩატარებული მოდულების ვერიფიკაცია არ განუხორციელებია, რაც შექმნიდა ინტერესთა კონფლიქტის ვითარებას. ვერიფიკაციის ნიმუშების შერჩევისას, გათვალისწინებულია ისეთი ფაქტორები როგორიცაა მაგალითად, ინსტუმენტების იდენტიფიცირება, სადაც შესაძლოა შეუსაბამობების არსებობის მაღალი ალბათობა: დამწყები მასწავლებლის ფაქტორი, პრაქტიკული დავალებების სიმრავლე, ერთი ინსტრუმენტით ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა და სხვა.
ხარისხის მართვის მენეჯერი თვითონ ატარებს ტრენინგებს პროფესიული განათლების მასწავლებლებთან შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების მიმართულებით, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ვერიფიკაციის პროცესი მას არ შეეხება, რასაც კოლეჯი განახორციელებს გარე ვერიფიკატორების ჩართვის გზით.
ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის საათობრივი დატვირთვის შესახებ დაწესებულებაში არსებობდა ზეპირსიტყვიერი შეთანხმება, კოლეჯი გაითვალისწინებს რეკომენდაციას და წერილობით განსაზღვრავს საშტატო ერთეულებზე მომუშავე პირების პედაგოგიური საქმიანობისთვის კვირეულ საათობრივ დატვირთვას.'' - **აღნიშნული საკითხის შეფასება მონიტორინგის ვიზიტის ბრძანებით არ იყო განსაზღვრული, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას არგუმენტირებული პოზიციის ამ ნაწილზე იმსჯელოს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. 2.2.1.1 - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

„პროგრამაში მითითებულია ჩანაწერები დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით, თუმცა კოლეჯს შესაბამისი რეგულაცია და პიროებები არ აქვს და პროგრამა სრულად ხორციელდება პირისპირ რეჟიმში, ფიზიკურ გარემოში." ჩანაწერთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ ორივე პროგრამაში მოდულების ჩამონათვალთან ზოგიერთი მოდულის გასწვრივ მონიშნულია ველი დისტანციური სწავლების შესაძლებლობების შესახებ, ანუ პროგრამით განსაზღვრულია, რომელი მოდულების განხორციელებაა შესაძლებელი დისტანციურად. კოლეჯში სწავლა ხორციელდება პირისპირ რეჟიმში და ეს ჩანაწერი ეხება მხოლოდ გარდაუვალი აუცილებლობის შემთხვევაში მოდულების დისტანციურად განხორციელების შესაძლებლობის მონიშვნას. აქვე აღვნიშნავთ, რომ კოლეჯს აქვს დისტანციურად სწავლების რეგულაცია.

ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს არგუმენტირებულ პოზიციას, ვიზიტის დროს კოლეჯის მიერ წარმოდგენილი არსებული რეგულაცია არ ითვალისწინებდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 30 აგვისტოს დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის / მოკლე ციკლის საგანამანათლებლო პროგრამის/ პროფესიული მომზადების პროგრამის / პროფესიული გადამზადების პროგრამის / სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის კომპონენტების დისტანციურად განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" №143/ნ ბრძანებით განსაზღვრულ პირობებს. კოლეჯის წარმომადგენლების განმარტებით მიმდინარეობდა შესაბამისი ბრძანების პროექტის მომზადება. შესაბამისად ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებს არ მიეცათ შესაძლებლობა შეფასებულიყო პროგრამების დისტანციურად განხორციელების პირობები.

3. 2.2.1.3 - პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია დაწესებულება გაითვალისწინებს განმავითარებელ რეკომენდაციას, კოლეჯის მიერ მასწავლებლებისთვის გაიცეს ცნობა პროგრამის ფარგლებში განხორციელებული კონკრეტული მოდულების დასახელების მითითებით.
   - **ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს კოლეჯის პოზიციას.**

4. 2.2.1.4 - საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. რაც შეეხება განმავითარებელი რეკომენდაციას, „პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციის ჯეროვნად შესრულების მიზნით, სასურველია კოლეჯს ჰქონდეს პროგრამის ხელმძღვანელის პოზიცია და შესრულებული ადმინისტრაციული საქმიანობა იყოს ანაზღაურებადი", დაწესებულება იმსჯელებს აღნიშნულის შესახებ. - **ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს კოლეჯის პოზიციას.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	შედუღება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0715
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. გორი, ბესიკის ქ. N2 გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხიდისთავი
პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	36
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	12
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	36

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება □

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

„შედუღება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება კოლეჯის შესაბამის სასწავლო სივრცეებში, სადაც სრულყოფილად უზრუნველყოფილია პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი მატერიალური და საგანმანათლებლო გარემო. სასწავლო პროცესის ორგანიზება ეფუძნება პროგრამის შინაარსს, პრაქტიკული კომპონენტების მოცულობასა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას (36 სტუდენტი).
პროგრამაში მითითებულია ჩანაწერები დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით, თუმცა კოლეჯს შესაბამისი რეგულაცია და პიროებები არ აქვს და პროგრამა სრულად ხორციელდება პირისპირ რეჟიმში, ფიზიკურ გარემოში.
პროგრამას თან ერთვის სავალდებულო მატერიალური რესურსების დეტალური ჩამონათვალი, რომელიც წარმოადგენს პროგრამის დანართს და მოიცავს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო რესურსებს. აღნიშნული ჩამონათვალი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების სრულფასოვან განხორციელებას.
კოლეჯის სასწავლო კორპუსში „შედუღება“ პროგრამისთვის გამოყოფილია კეთილმოწყობილი და ტექნიკურად გამართული A და B ტიპის სასწავლო გარემოები, რომლებიც გამოიყენება თეორიული მეცადინეობებისა და კომპიუტერზე დაფუძნებული სასწავლო აქტივობების ჩასატარებლად. აღნიშნული სივრცეები აღჭურვილია პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისი სამუშაო მაგიდებითა და სკამებით, პერსონალური კომპიუტერებით, უწყვეტი ინტერნეტითა და პროგრამის შინაარსთან დაკავშირებული შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით. ასევე, უზრუნველყოფილია პრეზენტაციისთვის საჭირო ტექნიკური საშუალებები (პროექტორი, ეკრანი, პრეზენტაციის დაფა), ასლგადამღები მოწყობილობები და სხვა დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები, რაც ხელს უწყობს სასწავლო მასალის ეფექტიან მიწოდებასა და ვიზუალურ აღქმას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმეორებითი მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ შესაბამისობის გეგმის (ბრძანება N1-07, 23/01/2026), მიხედვით, კოლეჯმა გააფორმა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №8 (06.02.2026) შპს ,,სითიტექ''-თან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ,,შედუღება'' 1 ცალი ულტრაბგერითი შედუღების აპარატი LST C800-ის შესყიდვის მიზნით, 6450 ლარის ღირებულებით და მიწოდების ვადად განისაზღვრა 60 კალენდარული დღე. ხელშეკრულების შესაბამისად, 2026 წლის 2 მარტს მოხდა მიწოდება და გაფორმდა კოლეჯსა და მიმწოდებელ ორგანიზაციას შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.
მონიტორინგის ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს პროგრამის განხორციელების ადგილები და დადასტურდა, რომ კოლეჯს აქვს ულტრაბგერითი შედუღების აპარატი LST C800.

თეორიული მოდულები ხორციელდება კოლეჯში, პრაქტიკული მოდულები კი გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ხიდისთავში მდებარე სახელოსნოში (ტრანსპორტირების საშუალო დრო 15 წუთი კოლეჯიდან). აღსანიშნავია, რომ გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ხიდისთავში მდებარე სახელოსნოში მოწყობილია არამარტო C გარემო პრაქტიკისთვის, არამედ პრაქტიკული მოდულების თეორიული ნაწილის სწავლებისთვის გამოყოფილია დამატებითი A გარემო, რაც სასწავლო პროცესის უკეთ ორგანიზებას შეუწყობს ხელს და მეორემხრივ, დაზოგავს სტუდენტების დროს, რაც საჭიროა თეორიული სწავლებისთვის კოლეჯამდე ტრანსპორტირებისთვის. სახელოსნოში განთავსებული გარემოები სრულად აღჭურვილია როგორც პრაქტიკული ასევე თეორიული სწავლებისთვის.

პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებისა და სასწავლო გარემოების დათვალიერების საფუძველზე დადგინდა, რომ კოლეჯის მატერიალური ბაზა და მათი ხელმისაწვდომობა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, სრულად უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული მატერიალური და სასწავლო რესურსები არის რეალისტურად დაგეგმილი, ფაქტობრივად ხელმისაწვდომი და სრულ შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და შინაარსთან.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

„შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის წარმოდგენილია გაფორმებული წინასწარი ხელშეკრულებები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, რაც უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტ და სტაბილურ განხორციელებას.
პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს ჰყავს ჯამში 19 პროფესიული განათლების მასწავლებელი , რომელთაგან:

- 10 მასწავლებელი ახორციელებს ზოგად მოდულებს;
- 9 პროფესიული განათლების მასწავლებელი პასუხისმგებელია პროგრამის პროფესიულ მოდულებზე.

ვიზიტის დროს, სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიმდინარე მოდულების ფარგლებში გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება ერთ პროფესიულ განათლების მასწავლებელთან, ხოლო სხვა მასწავლებლები რჩებიან სარეზერვოდ (წინარე ხელშეკრულებით).
წარდგენილი დოკუმენტებით დასტურდება , რომ:

- ყველა განმახორციელებელი მასწავლებლის დატვირთვა შეესაბამება „საქართველოს შრომის კოდექსის“ მოთხოვნებს,
- კვირაში საერთო სამუშაო დატვირთვა არ აღემატება 40 საათს,
- განაწილება ოპტიმალურია და არ ქმნის გადატვირთვის ან პროცესის შეფერხების ალბათობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეების შესწავლით, კვალიფიკაციის დადასტურებითა და მათთან გასაუბრებით დადგინდა, რომ წარმოდგენილი მასწავლებლები ფლობენ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებელ პროფესიულ და პედაგოგიურ კომპეტენციებს, პროფესიული გამოცდილება შესაბამისობაშია მოდულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან, მასწავლებელთა რაოდენობა და განაწილება სრულად უზრუნველყოფს პროგრამის შინაარსობრივ და პრაქტიკულ განხორციელებას.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ვიზიტის ფარგლებში პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებულმა გასაუბრებამ და მათი პირადი საქმეების შესწავლამ დაადასტურა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები სრულად აკმაყოფილებენ „შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელ კვალიფიკაციასა და პროფესიულ მოთხოვნებს.

მასწავლებელთა პირად საქმეებში წარმოდგენილია პროგრამის პროფილის შესაბამისი დოკუმენტაცია, მათ შორის: შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დიპლომები და სერტიფიკატები; ასევე, პროფესიული მასწავლებლობის დამადასტურებელი სამუშაო ცნობები და პროფესიული პრაქტიკის დამადასტურებელი დოკუმენტები პარტნიორი ორგანიზაციებიდან. წარმოდგენილი მასალები ადასტურებს, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ფლობს როგორც თეორიული ცოდნის გადაცემის, ისე პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებისთვის აუცილებელ პროფესიულ კომპეტენციებს.

დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებლებს აქვთ პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება სხვადასხვა ორგანიზაციებში, ამ ეტაპზეც ეწევიან აქტიურ პროფესიულ პრაქტიკულ საქმიანობას, რაც მნიშვნელოვნად აძლიერებს სასწავლო პროცესის პრაქტიკულ ნაწილს.

გასაუბრებების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელმა მასწავლებლებმა რეგულარულად გაიარეს პროფესიული განვითარებისა და გადამზადების კურსები, მათ შორის:

- უნარების განვითარების სააგენტოს ტრენინგები („სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევის შეფასება“);
- სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული პროგრამები („პროფესიული განათლების მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით“).

აღნიშნული გადამზადების კურსები მნიშვნელოვნად აძლიერებს მასწავლებელთა პედაგოგიურ და პროფესიულ კომპეტენციებს და დადებითად აისახება მოდულების სწავლების ხარისხზე.

დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლები, პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, აქტიურად იყვნენ ჩართული: მოდულების შემუშავებაში, განახლებასა და მათი ადაპტირების პროცესში; სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების მომზადებაში; მოდულების განხორციელების მიმდინარეობის მონიტორინგში. აღნიშნული პრაქტიკა მიუთითებს, რომ პროგრამის შინაარსი ეფუძნება კოლეგიურ თანამშრომლობასა და პრაქტიკულ პროფესიულ გამოცდილებას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა, მათი კვალიფიკაცია, პრაქტიკული გამოცდილება, პროფესიული განვითარების ისტორია და სამუშაო დატვირთვის რაციონალური განაწილება სრულად უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხიან, უწყვეტ და მდგრად განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

განმავითარებელი რეკომენდაცია: პროფესიულ მასწავლებელთა პირად საქმეში კვალიფიკაციის დამადასტურებელ სხვა დოკუმენტებთან ერთად, დაცულია პირისთვის კოლეჯის მიერ გაცემული ცნობები, რომლითაც დასტურდება პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო გამოცდილება, თუმცა რიგ შემთხვევებში მითითებულია მხოლოდ პროგრამის დასახელება და არ არის მითითებული მოდულ(ებ)ის დასახელება. რეკომენდირებულია, კოლეჯის მიერ გაიცეს ცნობა პროგრამის ფარგლებში განხორციელებული კონკრეტული მოდულების დასახელების მითითებით.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციისა და პროფესიული კომპეტენციების მოთხოვნები. დოკუმენტის მიხედვით, პროგრამის ხელმძღვანელი უნდა იყოს შესაბამისი დარგის სპეციალისტი ან/და შესაბამის სფეროში პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პრაქტიკოსი, რაც უზრუნველყოფს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კომპონენტების ეფექტიან მართვას.

პროგრამის ხელმძღვანელი ახორციელებს დარგობრივ მოდულების სწავლებას. კოლეჯს პროგრამის ხელმძღვანელის პოზიცია არ აქვს, შესაბამისად არ არის ანაზღაურებადი. პროგრამის ხელმძღვანელ პირთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში ხელშეკრულების საგანში მითითებულია რომ დასაქმებული დანიშნულია პროფესიული განათლების მასწავლებლად (შტატგარეშე), ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად დასაქმებულის მიერ შესასრულებელი სამუშაო წარმოდგენილია დანართი №1-ის სახით და მისი განუყოფელი ნაწილია, რომელშიც მასწავლებლის ფუნქციებთან ერთად დამატებით წარმოდგენილია პროგრამის ხელმძღვანელის პოზიციისთვის დამახასიათებელი ფუნქციები.
განმავითარებელი რეკომენდაცია: პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციის ჯეროვნად შესრულების მიზნით, სასურველია კოლეჯს ჰქონდეს პროგრამის ხელმძღვანელის პოზიცია და შესრულებული ადმინისტრაციული საქმიანობა იყოს ანაზღაურებადი.

ხელშეკრულების დანართში განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები:

- ზრუნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაზე;
- მონაწილეობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში;
- კოორდინაციას უწევს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას, საჭიროების შემთხვევაში ადგენს წინადადებების ინიცირებას/წარდგენას საგანმანათლებლო, ადმინისტრაციული და მატერიალური რესურსის შესახებ, პროგრამის განხორციელების მიზნით მასში ცვლილებების განხორციელებისათვის, სასწავლო პროცესისა და სასწავლო საწარმოო პრაქტიკის მენეჯერთან;
- მონაწილეობს ვერფიკაციის პროცესში;
- პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის ან/და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობით ჩარიცხული ან/და სხვა ობიექტური გარემოების გათვალისწინებით, პროფესიული სტუდენტისთვის საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, პროფესიული განათლების მასწავლებელთან და სასწავლო პროცესის სასწავლო/ საწარმოო პრაქტიკის მენეჯერთან ერთად;
- პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერა, კონსულტაციების გაწევა, სასწავლო პროცესისა და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერთან და პროფესიული განათლების ერთეულ.შეთანხმებული გრაფიკით და კონსულტაციის დაგეგმილი ფორმებით.
- ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების სასწავლო გარემოსთან ადაპტაციას.
- ზრუნავს სასწავლო გეგმების გადახედვასა და საჭიროების შემთხვევაში გადამუშავებაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის (პირადი საქმის) შესწავლისა და პროგრამის ხელმძღვანელთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც ფლობს პროგრამის პროფილის შესაბამის დარგობრივ კომპეტენციებს, წარმოდგენილი აქვს დადასტურებული კვალიფიკაცია და პრაქტიკული პროფესიული გამოცდილება. დასტურდება, რომ პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად მონაწილეობს როგორც პროგრამის შემუშავებისა და განახლების პროცესში, ისე მისი განხორციელების ეტაპზე.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია, პროფესიული გამოცდილება და მაღალი ჩართულობა სრულად შეესაბამება მოთხოვნებს და უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტიან, მდგრად და ხარისხზე ორიენტირებულ მართვას.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა კოლეჯის ბიბლიოთეკა, ასევე შერჩევითი პრინციპით შეამოწმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო რესურსები.
ბიბლიოთეკართან და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე არსებული მდგომარეობა შეფასდა როგორც სანდო და მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისი.
დადგინდა, რომ პროგრამის მოდულებით განსაზღვრული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით. კერძოდ, კოლეჯის ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია მოდულების მიხედვით შერჩეული ბეჭდური სასწავლო მასალები, რომლებიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესების დაცვით და თავისუფლად ხელმისაწვდომია როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ისე პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლებისთვის.
ელექტრონული სასწავლო რესურსები განთავსებულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებში, ასევე კოლეჯის ვებ გვერდზე შესაბამის ველში. ასევე, ელექტრონული სასწავლო მასალები ბიბლიოთეკაში ინახება სპეციალურ მყარ დისკებზე, საიდანაც შესაძლებელია მათი გადატანა, ბეჭდვა ან ელექტრონულად გამოყენება. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა საჭირო მასალები მიიღონ ელექტრონული ფოსტის საშუალებით ან შესაბამისი ამონარიდები ბეჭდური სახით.
კოლეჯის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რაც უზრუნველყოფს მომსახურების პირობების საჯაროობას, რესურსებზე თანაბარ ხელმისაწვდომობას და უსაფრთხო, ორგანიზებულ სასწავლო გარემოს შექმნას.
ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო რესურსები არის რელევანტური, მრავალფეროვანი და სრულად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირებისათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირებისთვის შესაძლებელია განხორციელდეს მოდულების აკომოდაცია ან მოდიფიკაცია, რამაც შესაძლოა, რესურსების ცვლილებაც გამოიწვიოს. მოდიფიკაციის დროს იცვლება სწავლის შედეგები, შინაარსობრივად ან რაოდენობრივად, რაც გამორიცხავს კვალიფიკაციის მინიჭებას. იმ შემთხვევაში, როდესაც სწავლის შედეგები/კრიტერიუმები იცვლება, გაიცემა ცნობა. სწავლის აღნიშნული მოსალოდნელი შედეგების შესახებ ხდება აპლიკანტთა/კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირება.
ა(ა)იპ კოლეჯის „განთიადი“ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ გაწერილია სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ხელშეწყობის მექანიზმები. კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი.
საჭიროების შემთხვევაში, სსსმ ან შშმ პირების მხარდასაჭერად დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების სპეციალისტის ასისტენტის ან სხვა მხარდამჭერი პირების აყვანას.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის A, B და C ტიპის სასწავლო გარემოები უზრუნველყოფს უსაფრთხო, ხელმისაწვდომ და ინკლუზიურ სასწავლო გარემოს, რაც ყველა პროფესიულ სტუდენტს, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს, აძლევს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი. დოკუმენტის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ბიუჯეტი ჩამოყალიბებულია გამჭვირვალე, ეკონომიკურად გონივრული და სტანდარტებთან შესაბამისი პრინციპებით.

საპროგნოზო ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი დაფუძნებულია ვაუჩერულ დაფინანსებასა და პროგრამულ დაფინანსებაზე. ხარჯების ნაწილი მოიცავს პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის სასწავლო მიზნით გაწეული ხარჯსა და ადმინისტრირების ხარჯებს, რაც საშუალებას აძლევს კოლეჯს გათვალოს საკუთარი ფინანსური რესურსები და უზრუნველყოს პროგრამის მდგრადობა.

პროგრამის რენტაბელობის ზღვარი არის ჯგუფში 7 პროფესიული სტუდენტი, რომლის პირობებშიც პროგრამა ოპერატიულ ხარჯებს სრულად ფარავს და შესაძლებელია მისი მიმდინარეობა ხარისხის ზიანის გარეშე.
განახლებული პროგრამის ფარგლებში კოლეჯს პირველი მიღება აქვს და ჯერ პროგრამის ფარგლებში რეალური ახალი ბიუჯეტი კოლეჯს არ აქვს. ნიმუშის სახით წარმოდგენილი იქნა გასული წლების ჯგუფებისთვის შესრულებული ბიუჯეტი, რაც ადასტურებს, რომ პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მატერიალური რესურსების შესყიდვის დოკუმენტები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ტრენინგებზე დასწრების ფურცლები და შესაბამისი სერტიფიკატები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი;
- მასწავლებელთა პირადი საქმეები;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- გასაუბრების შედეგები;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

III. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	იატაკისა და ფილის სამუშაოები
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. გორი, ბესიკის ქ. N2 გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხიდისთავი
პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	72
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	25
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	72
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	81

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	96

IV. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება □

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

„იატაკისა და ფილის სამუშაოები“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება კოლეჯის შესაბამის სასწავლო სივრცეებში, სადაც სრულყოფილად უზრუნველყოფილია პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი მატერიალური და საგანმანათლებლო გარემო. სასწავლო პროცესის ორგანიზება ეფუძნება პროგრამის შინაარსს, პრაქტიკული კომპონენტების მოცულობასა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას (72 სტუდენტი).

პროგრამაში მითითებულია ჩანაწერები დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით, თუმცა კოლეჯს შესაბამისი რეგულაცია და პირობები არ აქვს და პროგრამა სრულად ხორციელდება პირისპირ რეჟიმში, ფიზიკურ გარემოში.

პროგრამას თან ერთვის სავალდებულო მატერიალური რესურსების დეტალური ჩამონათვალი, რომელიც წარმოადგენს პროგრამის დანართს და მოიცავს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო რესურსებს. აღნიშნული ჩამონათვალი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების სრულფასოვან განხორციელებას.

კოლეჯის სასწავლო კორპუსში „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ პროგრამისთვის გამოყოფილია კეთილმოწყობილი და ტექნიკურად გამართული A და B ტიპის სასწავლო გარემოები, რომლებიც გამოიყენება თეორიული მეცადინეობებისა და კომპიუტერზე დაფუძნებული სასწავლო აქტივობების ჩასატარებლად. აღნიშნული სივრცეები აღჭურვილია პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისი სამუშაო მაგიდებითა და სკამებით, პერსონალური კომპიუტერებით, უწყვეტი ინტერნეტითა და პროგრამის შინაარსთან დაკავშირებული შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ასევე, უზრუნველყოფილია პრეზენტაციისთვის საჭირო ტექნიკური საშუალებები (პროექტორი, ეკრანი, პრეზენტაციის დაფა), ასლგადამღები მოწყობილობები და სხვა დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები, რაც ხელს უწყობს სასწავლო მასალის ეფექტიან მიწოდებასა და ვიზუალურ აღქმას.

განმეორებითი მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმის (ბრძანება N1-07, 23/01/2026), მიხედვით, კოლეჯმა გააფორმა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №5 (30/01.2026) შპს ,,სითიტექ''-თან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ,,იატაკისა და ფილის სამუშაოები'' 2 ცალი ბეტონის მარკიანობის საზომის (შმიდტის ჩაქუჩი)-ს შესყიდვის მიზნით, ჯამში 1100 ლარის საერთო ღირებულებით და მიწოდების ვადად განისაზღვრა 21 კალენდარული დღე. ხელშეკრულების შესაბამისად, 2026 წლის 3 თებერვალს მოხდა მიწოდება და გაფორმდა კოლეჯსა და მიმწოდებელ ორგანიზაციას შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.
მონიტორინგის ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს პროგრამის განხორციელების ადგილები და დადასტურდა, რომ კოლეჯს აქვს 2 ბეტონის მარკიანობის საზომი (შმიდტის ჩაქუჩი).

თეორიული მოდულები ხორციელდება კოლეჯში, პრაქტიკული მოდულები კი გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ხიდისთავში მდებარე სახელოსნოში (ტრანსპორტირების საშუალო დრო 15 წუთი კოლეჯიდან). აღსანიშნავია, რომ გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ხიდისთავში მდებარე სახელოსნოში მოწყობილია არამარტო C გარემო პრაქტიკისთვის, არამედ პრაქტიკული მოდულების თეორიული ნაწილის სწავლებისთვის გამოყოფილია დამატებითი A გარემო, რაც სასწავლო პროცესის უკეთ ორგანიზებას შეუწყობს ხელს და მეორემხრივ, დაზოგავს სტუდენტების დროს, რაც საჭიროა თეორიული სწავლებისთვის კოლეჯამდე ტრანსპორტირებისთვის. სახელოსნოში განთავსებული გარემოები სრულად აღჭურვილია როგორც პრაქტიკული ასევე თეორიული სწავლებისთვის.

პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებისა და სასწავლო გარემოების დათვალიერების საფუძველზე დადგინდა, რომ კოლეჯის მატერიალური ბაზა და მათი ხელმისაწვდომობა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, სრულად უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული მატერიალური და სასწავლო რესურსები არის რეალისტურად დაგეგმილი, ფაქტობრივად ხელმისაწვდომი და სრულ შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და შინაარსთან.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "იატაკისა და ფილის სამუშაოების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის წარმოდგენილია გაფორმებული წინასწარი ხელშეკრულებები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, რაც უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტ და სტაბილურ განხორციელებას.
პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს ჰყავს ჯამში 15 პროფესიული განათლების მასწავლებელი , რომელთაგან:

- 10 მასწავლებელი ახორციელებს ზოგად მოდულებს;
- 5 პროფესიული განათლების მასწავლებელი პასუხისმგებელია პროგრამის პროფესიულ მოდულებზე.

ვიზიტის დროს, სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიმდინარე მოდულების ფარგლებში გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება ერთ პროფესიულ განათლების მასწავლებელთან, ხოლო სხვა მასწავლებლები რჩებიან სარეზერვოდ (წინარე ხელშეკრულებით).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარდგენილი დოკუმენტებით დასტურდება , რომ:

- ყველა განმახორციელებელი მასწავლებლის დატვირთვა შეესაბამება „საქართველოს შრომის კოდექსის“ მოთხოვნებს,
- კვირაში საერთო სამუშაო დატვირთვა არ აღემატება 40 საათს,
- განაწილება ოპტიმალურია და არ ქმნის გადატვირთვის ან პროცესის შეფერხების ალბათობას.

პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეების შესწავლით, კვალიფიკაციის დადასტურებითა და მათთან გასაუბრებით დადგინდა, რომ წარმოდგენილი მასწავლებლები ფლობენ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებელ პროფესიულ და პედაგოგიურ კომპეტენციებს, პროფესიული გამოცდილება შესაბამისობაშია მოდულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან, მასწავლებელთა რაოდენობა და განაწილება სრულად უზრუნველყოფს პროგრამის შინაარსობრივ და პრაქტიკულ განხორციელებას.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

ვიზიტის ფარგლებში პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებულმა გასაუბრებამ და მათი პირადი საქმეების შესწავლამ დაადასტურა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები სრულად აკმაყოფილებენ ,,იატაკისა და ფილის სამუშაოების” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელ კვალიფიკაციასა და პროფესიულ მოთხოვნებს.

მასწავლებელთა პირად საქმეებში წარმოდგენილია პროგრამის პროფილის შესაბამისი დოკუმენტაცია, მათ შორის: შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დიპლომები და სერტიფიკატები; ასევე, პროფესიული მასწავლებლობის დამადასტურებელი სამუშაო ცნობები და პროფესიული პრაქტიკის დამადასტურებელი დოკუმენტები პარტნიორი ორგანიზაციებიდან. წარმოდგენილი მასალები ადასტურებს, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ფლობს როგორც თეორიული ცოდნის გადაცემის, ისე პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებისთვის აუცილებელ პროფესიულ კომპეტენციებს.

დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებლებს აქვთ პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება სხვადასხვა ორგანიზაციებში, ამ ეტაპზეც ეწევიან აქტიურ პროფესიულ პრაქტიკულ საქმიანობას, რაც მნიშვნელოვნად აძლიერებს სასწავლო პროცესის პრაქტიკულ ნაწილს.

გასაუბრებების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელმა მასწავლებლებმა რეგულარულად გაიარეს პროფესიული განვითარებისა და გადამზადების კურსები, მათ შორის:

- უნარების განვითარების სააგენტოს ტრენინგები („სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევის შეფასება“);
- სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული პროგრამები („პროფესიული განათლების მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით“).

აღნიშნული გადამზადების კურსები მნიშვნელოვნად აძლიერებს მასწავლებელთა პედაგოგიურ და პროფესიულ კომპეტენციებს და დადებითად აისახება მოდულების სწავლების ხარისხზე.

დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლები, პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, აქტიურად იყვნენ ჩართული: მოდულების შემუშავებაში, განახლებასა და მათი ადაპტირების პროცესში; სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების მომზადებაში; მოდულების განხორციელების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიმდინარეობის მონიტორინგში. აღნიშნული პრაქტიკა მიუთითებს, რომ პროგრამის შინაარსი ეფუძნება კოლეგიურ თანამშრომლობასა და პრაქტიკულ პროფესიულ გამოცდილებას.
ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა, მათი კვალიფიკაცია, პრაქტიკული გამოცდილება, პროფესიული განვითარების ისტორია და სამუშაო დატვირთვის რაციონალური განაწილება სრულად უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხიან, უწყვეტ და მდგრად განხორციელებას.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

განმავითარებელი რეკომენდაცია: პროფესიულ მასწავლებელთა პირად საქმეში კვალიფიკაციის დამადასტურებელ სხვა დოკუმენტებთან ერთად, დაცულია პირისთვის კოლეჯის მიერ გაცემული ცნობები, რომლითაც დასტურდება პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო გამოცდილება, თუმცა რიგ შემთხვევებში მითითებულია მხოლოდ პროგრამის დასახელება და არ არის მითითებული მოდულ(ებ)ის დასახელება. რეკომენდირებულია, კოლეჯის მიერ გაიცეს ცნობა პროგრამის ფარგლებში განხორციელებული კონკრეტული მოდულების დასახელების მითითებით.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციისა და პროფესიული კომპეტენციების მოთხოვნები. დოკუმენტის მიხედვით, პროგრამის ხელმძღვანელი უნდა იყოს შესაბამისი დარგის სპეციალისტი ან/და შესაბამის სფეროში პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პრაქტიკოსი, რაც უზრუნველყოფს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კომპონენტების ეფექტიან მართვას.

პროგრამის ხელმძღვანელი ახორციელებს დარგობრივ მოდულების სწავლებას. კოლეჯს პროგრამის ხელმძღვანელის პოზიცია არ აქვს, შესაბამისად არ არის ანაზღაურებადი. პროგრამის ხელმძღვანელ პირთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში ხელშეკრულების საგანში მითითებულია რომ დასაქმებული დანიშნულია პროფესიული განათლების მასწავლებლად (შტატგარეშე), ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად დასაქმებულის მიერ შესასრულებელი სამუშაო წარმოდგენილია დანართი №1-ის სახით და მისი განუყოფელი ნაწილია, რომელშიც მასწავლებლის ფუნქციებთან ერთად დამატებით წარმოდგენილია პროგრამის ხელმძღვანელის პოზიციისთვის დამახასიათებელი ფუნქციები.
განმავითარებელი რეკომენდაცია: პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციის ჯეროვნად შესრულების მიზნით, სასურველია კოლეჯს ჰქონდეს პროგრამის ხელმძღვანელის პოზიცია და შესრულებული ადმინისტრაციული საქმიანობა იყოს ანაზღაურებადი.

ხელშეკრულების დანართში განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები:
- ზრუნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაზე;
- მონაწილეობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში;
- კოორდინაციას უწევს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას, საჭიროების შემთხვევაში ადგენს წინადადებების ინიცირებას/წარდგენას საგანმანათლებლო, ადმინისტრაციული და მატერიალური რესურსის შესახებ, პროგრამის განხორციელების მიზნით მასში ცვლილებების განხორციელებისათვის, სასწავლო პროცესისა და სასწავლო საწარმოო პრაქტიკის მენეჯერთან;
- მონაწილეობს ვერიფიკაციის პროცესში;
- პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის ან/და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობით ჩარიცხული ან/და სხვა ობიექტური გარემოების გათვალისწინებით, პროფესიული სტუდენტისთვის საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, პროფესიული განათლების მასწავლებელთან და სასწავლო პროცესის სასწავლო/ საწარმოო პრაქტიკის მენეჯერთან ერთად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

➢ პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერა, კონსულტაციების გაწევა, სასწავლო პროცესისა და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერთან და პროფესიული განათლების ერთეულ.შეთანხმებული გრაფიკით და კონსულტაციის დაგეგმილი ფორმებით.
➢ ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების სასწავლო გარემოსთან ადაპტაციას.
➢ ზრუნავს სასწავლო გეგმების გადახედვასა და საჭიროების შემთხვევაში გადამუშავებაზე.

ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის (პირადი საქმის) შესწავლისა და პროგრამის ხელმძღვანელთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც ფლობს პროგრამის პროფილის შესაბამის დარგობრივ კომპეტენციებს, წარმოდგენილი აქვს დადასტურებული კვალიფიკაცია და პრაქტიკული პროფესიული გამოცდილება. დასტურდება, რომ პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად მონაწილეობს როგორც პროგრამის შემუშავებისა და განახლების პროცესში, ისე მისი განხორციელების ეტაპზე.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია, პროფესიული გამოცდილება და მაღალი ჩართულობა სრულად შეესაბამება მოთხოვნებს და უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტიან, მდგრად და ხარისხზე ორიენტირებულ მართვას.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა კოლეჯის ბიბლიოთეკა, ასევე შერჩევითი პრინციპით შეამოწმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო რესურსები.
ბიბლიოთეკართან და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე არსებული მდგომარეობა შეფასდა როგორც სანდო და მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისი.
დადგინდა, რომ პროგრამის მოდულებით განსაზღვრული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით. კერძოდ, კოლეჯის ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია მოდულების მიხედვით შერჩეული ბეჭდური სასწავლო მასალები, რომლებიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესების დაცვით და თავისუფლად ხელმისაწვდომია როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ისე პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლებისთვის.
ელექტრონული სასწავლო რესურსები განთავსებულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებში, ასევე კოლეჯის ვებ გვერდზე შესაბამის ველში. ასევე, ელექტრონული სასწავლო მასალები ბიბლიოთეკაში ინახება სპეციალურ მყარ დისკებზე, საიდანაც შესაძლებელია მათი გადატანა, ბეჭდვა ან ელექტრონულად გამოყენება. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა საჭირო მასალები მიიღონ ელექტრონული ფოსტის საშუალებით ან შესაბამისი ამონარიდები ბეჭდური სახით.
კოლეჯის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რაც უზრუნველყოფს მომსახურების პირობების საჯაროობას, რესურსებზე თანაბარ ხელმისაწვდომობას და უსაფრთხო, ორგანიზებულ სასწავლო გარემოს შექმნას.
ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო რესურსები არის რელევანტური, მრავალფეროვანი და სრულად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირებისათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირებისთვის შესაძლებელია განხორციელდეს მოდულების აკომოდაცია ან მოდიფიკაცია, რამაც შესაძლოა, რესურსების ცვლილებაც გამოიწვიოს. მოდიფიკაციის დროს იცვლება სწავლის შედეგები, შინაარსობრივად ან რაოდენობრივად, რაც გამორიცხავს კვალიფიკაციის მინიჭებას. იმ შემთხვევაში, როდესაც სწავლის შედეგები/კრიტერიუმები იცვლება, გაიცემა ცნობა. სწავლის აღნიშნული მოსალოდნელი შედეგების შესახებ ხდება აპლიკანტთა/კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირება.
ა(ა)იპ კოლეჯის „განთიადი“ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ გაწერილია სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ხელშეწყობის მექანიზმები. კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი.
საჭიროების შემთხვევაში, სსსმ ან შშმ პირების მხარდასაჭერად დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების სპეციალისტის ასისტენტის ან სხვა მხარდამჭერი პირების აყვანას.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის A, B და C ტიპის სასწავლო გარემოები უზრუნველყოფს უსაფრთხო, ხელმისაწვდომ და ინკლუზიურ სასწავლო გარემოს, რაც ყველა პროფესიულ სტუდენტს, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს, აძლევს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი. დოკუმენტის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ბიუჯეტი ჩამოყალიბებულია გამჭვირვალე, ეკონომიკურად გონივრული და სტანდარტებთან შესაბამისი პრინციპებით.

საპროგნოზო ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი დაფუძნებულია ვაუჩერულ დაფინანსებასა და პროგრამულ დაფინანსებაზე. ხარჯების ნაწილი მოიცავს პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის სასწავლო მიზნით გაწეული ხარჯსა და ადმინისტრირების ხარჯებს, რაც საშუალებას აძლევს კოლეჯს გათვალოს საკუთარი ფინანსური რესურსები და უზრუნველყოს პროგრამის მდგრადობა.

პროგრამის რენტაბელობის ზღვარი არის ჯგუფში 7 პროფესიული სტუდენტი, რომლის პირობებშიც პროგრამა ოპერატიულ ხარჯებს სრულად ფარავს და შესაძლებელია მისი მიმდინარეობა ხარისხის ზიანის გარეშე.
განახლებული პროგრამის ფარგლებში კოლეჯს პირველი მიღება აქვს და ჯერ პროგრამის ფარგლებში რეალური ახალი ბიუჯეტი კოლეჯს არ აქვს. ნიმუშის სახით წარმოდგენილი იქნა გასული წლების ჯგუფებისთვის შესრულებული ბიუჯეტი, რაც ადასტურებს, რომ პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.
ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მატერიალური რესურსების შესყიდვის დოკუმენტები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ტრენინგებზე დასწრების ფურცლები და შესაბამისი სერტიფიკატები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი;
- მასწავლებელთა პირადი საქმეები;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- გასაუბრების შედეგები;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი (ჩაბარებულია დასკვნის პროექტთან ერთად)

16.10.2026 წ
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: